

## მობილობის მსურველთა საყურადღებოდ !

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2017 წლის 25 ივლისიდან - 17 აგვისტოს ჩათვლით [www.student.ege.ge](http://www.student.ege.ge)) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017 წლის 23 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე გამოსასვლელი დღეების და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (მაგისტრანტმა და დოქტორანტმა წინა საფეხურის დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: 1. მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მობილობის მსურველმა, რომელიც გაეცნობა შედარების აქტს და წერილობით თანხმობას განაცხადებს სტუ-ში მობილობით გადმოსვლაზე ადმინისტრაციული და ფინანსური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის, მინიმუმ 1/2-ის (1125ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.